# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 117

“18” მარტი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.97.315; №81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №22.282.334 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.97.315; №81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №0121309989-67 (№0121340299-67; №01220104107-67; №01220322971-67; №0122055566-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მთავრობა

**განკარგულება - N 22.282.334**
**9 / მარტი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 5 ნოემბერს N0121309989-67 (N0121340299-67; N01220104107-67; N01220322971-67; N0122055566-67) განცხადებით მიმართეს მამუკა ლომიტაშვილმა (პ/ნ 01008031047) და სხვებმა და მოითხოვეს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137). ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებელ არეალს. საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საშუალო წნევის ხაზოვანი ნაგებობა. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის. ტერიტორია განთავსებულია პერიფერიულ ზონაში (პზ).

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ). ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებულია ზოგადი სარეკრეაციო ზონა (რზ).

,,ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N424 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ტერიტორია განვითარდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ფუნქციით, სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა-გაერთიანება მოხდება სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფუნქციისათვის დადგენილი პარამეტრებით და მიწის ნაკვეთი დაიყოფა 18 საკადასტრო ერთეულად. აქედან 15 საკადასტრო ერთეული იქნება საცხოვრებელი ფუნქციის, სადაც განთავსდება 15 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი; დანარჩენ ნაკვეთებზე გავრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ასევე, გათვალისწინებულია სატრანსპორტო ზონისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი (საავტომობილო გზა), რომლებიც უნდა გამოიყოს ცალკე საკადასტრო ერთეულად.

იგეგმება 15 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. საპროექტო არეალის სექტორები N17-N18 არ არის სამშენებლო სტატუსის, რადგან ვრცელდება ხევის შეზღუდვა.

შენობის სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

მიწის ნაკვეთის ფართობი: 17 001. 00 კვ.მ

რზ-2 ფართობი - 15 342 კვ.მ, აქედან სამშენებლო განვითარება 13 641 კვ.მ.-ზე

კ1 - 0,2

კ2 – (საპროექტო 0.8; 10 000 კვ.მ)

კ3-0.8

შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 2 სართული.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 1 მარტის N012206092 წერილის შესაბამისად, სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 2 მარტის N01220612851 წერილის შესაბამისად, სამსახური,კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121309989-67 (N0121340299-67; N01220104107-67; N01220322971-67; N0122055566-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.97.315; N81.02.96.137) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ქ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **012206092**
თარიღი: **01/03/2022**
პინი: **8487**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2022 წლის 23 თებერვლის N 0122055566-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ტაბახმელა, სოფელი წავკისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.97.315, 81.02.96.137) საგარაკე-დასასვენებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2021 წლის 6 აპრილის N 01210962637-67 განცხადების პასუხად N 0121103955 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **01213202689**
თარიღი: **16/11/2021**
პინი: **2877**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა მიმდინარე წლის 5 ნოემბრის №0121309989-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 81.02.96.137 და 81.02.97.315; ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა (რზ); გამწვანებული ტერიტორიების რუკა: რზ; საპროქტო ფუნქციური ზონირება: რზ-2 და ტზ-1) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **81.02.96.137 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **16 ძირი** (№13, №15, №20-22, №24, №31, №35, №42, №49, №55-56, №61, №70, №77-78) და **81.02.97.315 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **10 ძირი** (№3, №8, №15-17, №55-57, №59, №67) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და თითოეულ საკადასტრო ერთეულზე მოსაჭრელი 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა **81.02.97.315 საკადასტრო ერთეულზე** მოიჭრას **ერთი ძირი** (№54) ზეხმელი ჩვეულებრივი თელა, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას **81.02.96.137 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **25 ძირი ძეძვი** (№4-5, №10, №14, №18-19, №23, №29, №32-34, №36, №38-41, №48, №50-51, №54, №60, №62, №66, №69, №71) და **81.02.97.315 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **17 ძირი** ძეძვი (№5-7, №9-11, №18, №20-22, №34-36, №58, №61-62, №64) და **2 ძირი** შინდანწლა (№63, №65) **ჯამში - 44 ერთეული**, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **9 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა და $21^2$ მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **9 ძირი (ს/კ 81.02.96.137:** №30, №37, №57, №72-73; **ს/კ 81.02.97.315:** №37, №50, №53, №60) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის

საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახური განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მსჯელობს მხოლოდ იმ მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მდებარეობენ სამშენებლო არეალში და ხელს უშლიან პროექტის განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ მოსაჭრელად მოთხოვნილი **8 ძირი** მწვანე ნარგავი (**ს/კ 81.02.97.315:** №20-22; **ს/კ 81.02.96.137**: №8, №10-13) არ მდებარეობს სამშენებლო არეალში, განმცხადებელმა, აღნიშული მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვის მოსაპოვებლად სხვა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა მიმართოს მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის ნებართვის გამცემ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარაგავების რაოდენობა (**საპროექტოდ დასარგავი:** 4 ძირი ჰიმალაის კედარი, 5 ძირი ქართული ნეკერჩხალი, **ჯამში - 9 ერთეული**), სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიის ტზ-1-ის ნაწილისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**კ-3 = 0.1 = 166 მ²**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური)̈ პროექტი.**

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილების გამწვანების დეტალური პროექტის შეთანხმების საკითხზე, რომლის განვითარება იგეგმება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით (**კ-3 = 0.8 = 12 275 მ²**), გადაწყვეტილება მიღებული იქნება თითოეული მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით სამშენებლოდ განვითარებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურის ფარგლებში, დეტალური პროექტირების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 81.02.96.137 და 81.02.97.315 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01220612851**
თარიღი: **02/03/2022**
პინი: **4984**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა მიმდინარე წლის 24 თებერვლის №0122055566-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 81.02.96.137 და 81.02.97.315; ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა (რზ); გამწვანებული ტერიტორიების რუკა: რზ; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 1) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა 2021 წლის 16 ნოემბრის №01213202689 წერილით.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

**დანართი: 2 (ორი) ფურცელი.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




**შენიშვნა**

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

**პირობითი აღნიშვნები**

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი

ნაკვეთების ნუმერაცია და ფართობი:

მიწის ფართობი: 17001 კვ.მ

1. 1024 კვ/მ
2. 866 კვ/მ
3. 1001 კვ/მ
4. 1001 კვ/მ
5. 1001 კვ/მ
6. 927 კვ/მ
7. 869 კვ/მ
8. 670 კვ/მ
9. 1030 კვ/მ
10. 1000 კვ/მ
11. 1000 კვ/მ
12. 1000 კვ/მ
13. 1052 კვ/მ
14. 600 კვ/მ
15. 600 კვ/მ
16. 1659 კვ/მ
17. 929 კვ/მ
18. 772 კვ/მ

საპროექტო ნაკვეთების რაოდენობა - 18 ნაკვეთი.
სახლების რაოდენობა - 15.
სამშენებლოდ შეზღუდულ ნაკვეთებს წარმოადგენენ: 17;18 (ხევის ნაწილი)
16 (საავტომობილო გზა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | | შემსრულებელი | | ნახაზის სახელწოდება | გამიჯვნის სქემა |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137 თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | არქიტექტორი | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თარიღი | | ფორმატი | A 3 |
| სტადია | გრმ | მასშტაბი | 1:1000 |
| ფურცლები | | ფურცელი | |




## შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

### პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორია

საპროექტო საკადასტრო აზღვარი

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)

რზ-2 – დასაშვებია განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | 0,2 | კოეფიციენტი |
| კ-2 | | | კოეფიციენტი |
| კ-3 | | 0,8 | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | 10/1** | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | 600* | კვ.მ. |
| | მინიმალური სიგანე | - | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | - | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | 12*** | მეტრი |
| შენიშვნა | * 2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის<br>**ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში<br>*** ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისათვის | | |

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

ტზ-1 – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქუჩხინით მიცული შენობა-ნაგებობებისა;

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | – | კოეფიციენტი |
| კ-2 | | – | კოეფიციენტი |
| კ-3 * | | 0,1 | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | – | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | – | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | – | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | – | მეტრი |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | – | მეტრი |
| შენიშვნა | * [illegible] | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება | შემსრულებელი | | დამპროექტებლები | მიხეილ ზუბაშვილი, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლოშკიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | საპროექტო ფუნქციური ზონების რუკა | თარიღი | 2021 | ფორმატი A 3 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>ქ. თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოშტარია | | | სტადია | ბრპ | მასშტაბი 1:1000 |
| | | | | | | | | ფურცლები | | ფურცელი |




| ნაკვეთი # | ფართობი კვ.მ | რზ-2 (კვ.მ) | კ1-0.2 (მაქს. კვ.მ) | კ2- (გვსურს განვსაზღვროთ 0.8) | კ3- 0.8 (მინ.კვ.მ) | უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობები | უძრავი ქონების გამოყენების საგამონაკლისო ნებადართული სახეობები | ტზ 1 (კვ.მ) | კ1 | კ2 | კ3-0.1 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1024 | 1024 | 249 | 820 | 763 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 2 | 866 | 866 | 211 | 690 | 646 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 3 | 1001 | 1001 | 244 | 800 | 746 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 4 | 1001 | 1001 | 244 | 800 | 746 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 5 | 1001 | 1001 | 244 | 800 | 746 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 6 | 927 | 927 | 226 | 745 | 691 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 7 | 869 | 869 | 214 | 695 | 648 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 8 | 670 | 670 | 163 | 536 | 500 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 9 | 1030 | 1030 | 251 | 824 | 768 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 10 | 1000 | 1000 | 244 | 800 | 745 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 11 | 1000 | 1000 | 244 | 800 | 745 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 12 | 1000 | 1000 | 244 | 800 | 745 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 13 | 1052 | 1052 | 256 | 840 | 784 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 14 | 600 | 600 | 146 | 480 | 447 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 15 | 600 | 600 | 146 | 480 | 447 | - | ინდ. საცხოვრებელი სახლი | - | - | - | - |
| 16 | 1659 | - | - | - | - | - | - | 1659 | - | - | 166 |
| 17 | 929 | 929 | - | - | 693 | - | - | - | - | - | - |
| 18 | 772 | 772 | - | - | 576 | - | - | - | - | - | - |

## შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

## პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
- ხევი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის)
- განაშენიანების სავალდებულო ხაზი (ლურჯი ხაზი) პროექტში არ გვექნება
- სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)

საგამონაკლისო დასაშვები სახეობები:

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

ტზ-1 ში- გზა და ტროტუარი.

ერთგვაროვანი ნაკვეთები N 16 ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

სავალდებულო გზა და ტროტუარი.

ერთგვაროვანი ნაკვეთები N:
1;2;3;4;6;7;8;9;10;11;12;13;14;15.

საგამონაკლისოდ დასაშვებია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

სატრანსპორტო ზონა 1 ში გზა და ტროტუარი.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | დამკვეთები | მიხეილ გუგავაძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | საპროექტო ფუნქციური ზონირება და გამოყენების სახეობები. მიწის ნაკვეთის კ1; კ2; კ3 ის დადგენის გეგმა | თარიღი | 2021 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ 81.02.96.137 თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | არქიტექტორი | სალომე ხოშტარია | | | სტადია | გრგ |
| | | | | | | | ფურცლები | |

| | |
|---|---|
| ფორმატი | A 3 |
| მასშტაბი | 1:1000 |
| ფურცელი | |




შენიშვნა

•ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში

•ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან

•ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

**პირობითი აღნიშვნები**

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი
- სამეზობლო მიჯნის ზონა 3 მ
- განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის)
- განაშენიანების რეგულირების ხაზი
- შენობის განთავსების არეალი

შენიშვნა:
1.ავტოსადგომების გათვალისწინება მოხდება თითოეული ნაკვეთისთვის დამოუკიდებლად, მინიმუმ 2 ავტომობილი ნაკვეთზე (დახურული, მიწისქვეშა ან ღია პარკინგით) 14-39 დადგენილების შესაბამისად 180 კვ.მ ზე 1 ავტოსადგომი.
2.სამეზობლო მიჯნის ზონა წარმოადგენს 3 მ-ს და მისი დარღვევით განთავსებულ შენობას ვერ ექნება ღიობები კანონმდებლობის შესაბამისად
3. შენობის განთავსების არეალი - პროექტირების დროს გათვალისწინებული იქნება ხე ნარგავების 3 მეტრიანი ბუფერი საძირკვლებთან მიმართებაში.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | | ნახაზის სახელწოდება | მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა. ავტომანქანების სადგომი ადგილების პირობითი გეგმა. | თარიღი | | ფორმატი | A 3 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137 ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | არქიტექტორი | სალომე სოფურია | | | სტადია | გრგ | მასშტაბი | 1:1000 |
| | | | | | | ფურცლები | | ფურცელი | |







## შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

### პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი
- სამეზობლო მიჯნის ზონა 3 მ
- განაშენიანების რეგულირების ხაზი (უკანა ეზოსთვის)
- განაშენიანების რეგულირების ხაზი
- შენობის განთავსების არეალი

შენობათა სართულიანობა არაუმეტეს 3 სართული.
მაქსიმალური სიმაღლე 12 მეტრი რზ-2-ის შესაბამისად

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | | ნახაზის სახელწოდება | შენობა ნაგებობის სიმაღლის ან/და სართულიანობის განსაზღვრის სქემა | თარიღი | | ფორმატი | A 3 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | არქიტექტორი | სალომე ხოფერია | | | სტადია | გრგ | მასშტაბი | 1:1000 |
| | | | | | | ფურცლები | | ფურცელი | |




| მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული რეგლამენტის ცხრილი | | |
|---|---|---|
| მიწის ნაკვეთის №1;2;3;4;5;6;7;8;9;10;11;12;13;14;15 | | |
| 1 | მიწის ნაკვეთის დაშვებული მიზნობრივი დანიშნულება | სასოფლო-სამეურნეო |
| 2 | მიწის ნაკვეთის გეგმარების შემზღუდავი ზონა/ქვეზონა | - |
| 3 | მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონა | სარეკრეაციო ზონა - 2. რზ - 2 |
| 4 | მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი | სამშენებლო |
| 5 | მიწის ნაკვეთის გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები | სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლი და მისი დამხმარე ნაგებობები |
| 6 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ1 კოეფიციენტი | 0.2 |
| 7 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი | 0.8 |
| 8 | მიწის ნაკვეთის გამწვანების კ3 კოეფიციენტი | 0.8 |
| 9 | მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა | 12 მ. მიწის ზედაპირიდან.<br>3 სრული მიწისზედა სართული და გადახურვაზე ტერასა ან/და მანსარდა. მიწისქვეშა სართული |
| 10 | მიწის ნაკვეთის დაყოფა-გაერთიანების რეჟიმი | აკრძალვა |
| 11 | ავტოსადგომების აუცილებელი / მინიმალური რაოდენობა (მიწისზედა და მიწისქვეშა) | 2 |
| 12 | მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების წესი | შენობის განთავსების არეალის ფარგლებში |
| მიწის ნაკვეთის №17; 18 | | |
| 1 | მიწის ნაკვეთის დაშვებული მიზნობრივი დანიშნულება | სასოფლო-სამეურნეო |
| 2 | მიწის ნაკვეთის გეგმარების შემზღუდავი ზონა/ქვეზონა | - |
| 3 | მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონა | სარეკრეაციო ზონა - 2. რზ - 2 |
| 4 | მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი | არასამშენებლო |
| 5 | მიწის ნაკვეთის გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები | |
| 6 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ1 კოეფიციენტი | 0.2 |
| 7 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი | - |
| 8 | მიწის ნაკვეთის გამწვანების კ3 კოეფიციენტი | 0.8 |
| 9 | მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა | |
| 10 | მიწის ნაკვეთის დაყოფა-გაერთიანების რეჟიმი | აკრძალვა |
| 11 | ავტოსადგომების აუცილებელი / მინიმალური რაოდენობა (მიწისზედა და მიწისქვეშა) | |
| 12 | მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების წესი | |

**შენიშვნა**

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

**პირობითი აღნიშვნები**

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი
- გაზის მილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | |
| დამკვეთები | მიხეილ გუგბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | | |
| არქიტექტორი | სალომე ხოშტარია | | |

ნახაზის სახელწოდება:

# მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი

| | | | |
|---|---|---|---|
| თარიღი | 2021 | ფორმატი | A 3 |
| სტადია | გრგ | მასშტაბი | 1:1000 |
| ფურცლები | | ფურცელი | |




| მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული რეგლამენტის ცხრილი | | |
|---|---|---|
| მიწის ნაკვეთის №16 | | |
| 1 | მიწის ნაკვეთის დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება | სასოფლო-სამეურნეო |
| 2 | მიწის ნაკვეთის გეგმარების შემადგენელი ზონა/ქვეზონა | - |
| 3 | მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონა | სატრანსპორტო ზონა - 1. ტზ - 1 |
| 4 | მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი | არასამშენებლო |
| 5 | მიწის ნაკვეთის გამოყენების ნებადართული სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები | მხოლოდ, მოსახმარი (საინჟინრო) ნაგებობები, ბანაკების ბოძები, მცირე არქიტექტურული ფორმები, აბრა, საგზაო ნიშანი სარეკლამო და ა. შ |
| 6 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების კ1 კოეფიციენტი | - |
| 7 | მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი | - |
| 8 | მიწის ნაკვეთის გამწვანების კ3 კოეფიციენტი | 0.1 |
| 9 | მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე ან/და სართულიანობა | - |
| 10 | მიწის ნაკვეთის დაყოფა-გაერთიანების რეჟიმი | აკრძალვა |
| 11 | ავტოსადგომების აუცილებელი / მინიმალური რაოდენობა (მიწისზედა და მიწისქვეშა) | - |
| 12 | მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების ღესი | - |

შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორია
- საპროექტო საკადასტრო საზღვარი
- გაზის მილი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | | დამკვეთები | მიხეილ გუგბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი | თარიღი 2021 | ფორმატი A 3 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137 ქ. თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოშტარია | | | სტადია ბიბ | მასშტაბი 1:1000 |
| | | | | | | | | ფურცლები | ფურცელი |




# ჭრილი 1-1




**შენიშვნა**

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

პირობითი აღნიშვნები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | [signature] | დამკვეთი | მიხეილ გუგბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოშერია | |

ჭრილი 1-1

| | | | |
|---|---|---|---|
| თარიღი | 2021 | ფორმატი | A 3 |
| სტადია | გრგ | მასშტაბი | |
| ფურცლები | | ფურცელი | |




# ჭრილი 2-2




**შენიშვნა**

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

**პირობითი აღნიშვნები**

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | განაშენიანების რეგულირების გეგმა | შემსრულებელი | [signature] | დამკვეთები | მიხეილ გუგბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მაკუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | ჭრილი 2-2 | თარიღი | 2021 | ფორმატი | A 3 |
| | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137 ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოშტარია | | | სტადია | ბრგ | მასშტაბი | |

# შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

| პირობითი აღნიშვნები |
|---|



| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | [illegible] | შემსრულებელი | [signature] | დამკვეთები | მიხეილ ბუბბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | ვიზუალიზაცია | თარიღი | 2021 | ფორმატი: A 3 |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოფერია | | | სტადია | ბრპ | მასშტაბი |
| | | | | | | | | ფურცლები | | ფურცელი |

### შენიშვნა

- ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში
- ნახაზზე ყველა სახის ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
- ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

პირობითი აღნიშვნები







| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროექტის სახელწოდება | [illegible] | შემსრულებელი | | დამკვეთები | მიხეილ გუგბერიძე, ნიკოლოზ ხმალაძე, გიორგი ხმალაძე, მამუკა ლომიტაშვილი | ნახაზის სახელწოდება | საორიენტაციო ვიზუალი | თარიღი | 2021 | ფორმატი A 3 |
| | | | | | | | | სტადია | გრბ | მასშტაბი |
| მისამართი | ქ. თბილისი, ტაბახმელა, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.96.137<br>ქ.თბილისი, სოფელი წავკისი ს.კ. 81.02.97.315 | | | არქიტექტორი | სალომე ხოფერია | | | ფურცლები | | ფურცელი |